



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №3
18 იანვარი 2018 წ.

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 24-ე და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს დანართის N1 შესაბამისად მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირება, თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხა.

მუხლი 2

წინამდებარე დადგენილების ამოქმედებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №62 (www.matsne.gov.ge, 25/12/2017 010250020.35.159.016311) დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხა				
№	რანგი/კატეგორია	თანამდებობის დასახელება	შტატი	სარგო
1	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები/მთავარი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს თავმჯდომარე	1	4100
2		თავმჯდომარის მოადგილე	1	3500
3		ფრაქციის თავმჯდომარე	4	2300
		ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	4	1800
4		კომისიის თავმჯდომარე	5	2300
სულ შტატი			15	
საკრებულოს აპარატი				
5	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/წამყვანი საჯარო თანამდებობა	აპარატის უფროსი	1	2300
საორგანიზაციო განყოფილება				
6	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1	1800
7	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/უფროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	6	1200
8	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი/უმცროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	1	1000
9	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი/უმცროსი საჯარო თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	1	1000
იურიდიული განყოფილება				
10	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1	1800
11	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/უფროსი საჯარო თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	1	1100
12	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/უფროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	2	1200
	სულ		14	